

არსებული გამოწვევები

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ არასრულწლოვანი ისეთივე უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობს, როგორც სრულწლოვანი ადამიანი. ამ უფლებებში მოიაზრება როგორც ბავშვის სიცოცხლის, თავისუფლების, განვითარების უფლება, ასევე სხვა მნიშვნელოვანი უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია არასრულწლოვნის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებისთვის.

საქართველოს კანონმდებლობაში ბავშვის უფლებების დაცვას კონსტიტუციის 36-ე მუხლი ემსახურება, რომლის მიხედვით დაცულია დედათა და ბავშვთა უფლებები.<sup>1</sup> ეს უკანასკნელი წარმოშობს სახელმწიფოსთვის ოჯახის თითოეულ წევრზე ზრუნვის ვალდებულებას, რადგან სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იმ პირთა დახმარება, რომლებიც საჭიროებენ მას. მაგალითად, ამ აზრს იზიარებს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება იმ პირთა მხარდაჭერის შესახებ, რომლებიც საჭიროებენ სახელმწიფოს ზრუნვას.<sup>2</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში კი გამოაცხადა, რომ ბავშვებს, აქვს განსაკუთრებული ზრუნვისა და დახმარების უფლება.<sup>3</sup> ამ უკანასკნელი მზრუნველობის განხორციელება, სახელმწიფოს მხრიდან იმ უფლებების რეალიზებას მოიცავს, რომლებითაც სარგებლობა ბავშვებს სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტით აქვს მინიჭებული.

კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობით დაცულია ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები, რაც მოიაზრებს იმ ქმედებების განხორციელებას ან მისგან თავის შეკავებას, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ბავშვის სამომავლო განვითარებას.<sup>4</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვს საკუთარი უფლებების მატარებლად აღიარებს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვის უფლებები არ არის წარმოებული მისი მშობლებისგან ან სხვა ნებისმიერი ზრდასრული ადამიანის უფლებებიდან.<sup>5</sup>

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, სახელმწიფო უპირველესად ყურადღებას უთმობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.<sup>6</sup> საუკეთესო ინტერესებით აქცენტირებულია ბავშვის ინტერესების გათვალისწინების უპირველესი აუცილებლობა. იგი მოიცავს ყველაფერ მნიშვნელოვანს, რამაც

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მესამე ნაწილი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი N31-33, 1995.

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, პაატა ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 449;

<sup>3</sup> ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენცია, (მიღებულია 1989 წლის 20 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს) პრეამბულა;

<sup>4</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1199-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი N31, 1997;

<sup>5</sup> იხ. <<http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1---0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.3&d=HASHfb846b36a6403d837daa38.12&x=1>>

<sup>6</sup> ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენცია, (მიღებულია 1989 წლის 20 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს) მუხლის მე-3-ის პირველი ნაწილი;

შესაძლებელია პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა იქონიოს არასრულწლოვანზე.<sup>7</sup> აღნიშნული ნორმა ბავშვს აძლევს უფლებას, მის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედებისას ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, შეფასდეს და უპირველესი ყურადღება მიენიჭოს მის ჭეშმარიტ ინტერესებს.<sup>8</sup> ამ უკანასკნელში მოიაზრება კონვენციით აღიარებული ყველა უფლებებით სრული და ეფექტიანი სარგებლობა.<sup>9</sup> ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ გარემოებებს, როგორც არის ასაკი, სქესი, სიმწიფის ხარისხი, გამოცდილება და სხვა. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნული ჩამონათვალი არ შეზღუდა არც რაოდენობრივად და არც იერარქიულად, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არ არის ამოწურვადი.<sup>10</sup>

ყოველი ზემოაღნიშნული წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სახელმწიფო ორგანოებსა და არასრულწლოვანთა შორის წარმოშობილი ურთიერთობისას. კერძოდ, სახელმწიფოს არასრულწლოვანებთან ურთიერთობისას და ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისას წარმოეშობა ვალდებულება უზრუნველყოს ის სტანდარტები, რომლებიც საერთაშორისო პრაქტიკით არის გარანტირებული, ხოლო სამართალდამცავ ორგანოებს იმ წესების პრაქტიკაში განხორციელება, რასაც კანონმდებლობა ითვალისწინებს.

ამ მიმართულებით პრაქტიკა საქართველოში არც თუ ისე მოქნილია, რადგან ჯერ კიდევ იკვეთება რიგი ხარვეზები, რაც პრაქტიკაში არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესების დარღვევის შესაძლებლობას ქმნის.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სტანდარტები გაერთიანებული ერების არაერთი დოკუმენტით არის დადგენილი.<sup>11</sup> აღნიშნული დოკუმენტები გამოკვეთს იმ წესებს, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს სამართალდამცავების მიერ არასრულწლოვან ბრალდებულთან, მოწმებთან თუ დაზარალებულთან დაკავშირებით. საქართველოში ამ წესების რეგლამენტირებას ახდენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

სამართალდამცავებთან არასრულწლოვნის პირველ ურთიერთობაში ყველაზე მნიშვნელოვანია დაკავებისა და გამოკითხვის პროცესები, რადგან ეს ის ეტაპებია, როდესაც არასრულწლოვანს ბევრი საკითხის გააზრება და გადაცემა უწევს მათთვის. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები ყველაზე რთულ პროცედურებს

<sup>7</sup> იხ. <<http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1---0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.3&d=HASHfb846b36a6403d837daa38.12&x=1>>

<sup>8</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებათა კომიტეტის კომენტარების ბავშვთა უფლებები შესახებ, 2013, 3, ან იხ. კონვენციის ზოგადი კომენტარი #14 ბავშვის უფლების შესახებ 2013, პუნქტი 6.

<sup>9</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებათა კომიტეტის კომენტარების ბავშვთა უფლებების შესახებ, 2013, 4;

<sup>10</sup> ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის ზოგადი კომენტარი #14 ბავშვის უფლების შესახებ 2013, პუნქტი 50.

<sup>11</sup> მაგ. „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ“, „გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ“, „გაეროს წესები თავისუფლებადაკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად“ და „სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებით მოქმედების შესახებ“ და ა.შ.

წარმოადგენს, რადგან პრაქტიკის გათვალისწინებით ამ დროს უფრო მეტია ბავშვის ინტერესების დარღვევის რისკი.

სხვადასხვა ანგარიშში არასრულწლოვანთა და სამართალდამცავთა ურთიერთობის შესახებ, გამოყოფილია, რომ დაკავებისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული საპროცესო დაცვის მექანიზმები, როგორებიცაა უდანაშაულობის პრეზუმცია, წაყენებული ბრალის შესახებ ინფორმაციის მიწოდების უფლება, დუმილის, ადვოკატის ყოლის, მშობლის ან მეურვის დასწრების უფლება და ა.შ.<sup>12</sup> ამასთან, არასრულწლოვნის დაკავების შემთხვევაში, დაკავების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობლებს ან მეურვეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ეს შეუძლებელია, მათ ამის შესახებ ინფორმაცია რაც შეიძლება მცირე დროში უნდა მიაწოდონ.<sup>13</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ სამართალდამცავ უწყებებსა და არასრულწლოვან სამართალდამრღვევს შორის ურთიერთობისას, პატივი უნდა სცენ არასრულწლოვანის სამართლებრივ სტატუსს. ეს ურთიერთობა ხელს უნდა უწყობდეს არასრულწლოვანის კეთილდღეობას და არასრულწლოვანისათვის ზიანის თავიდან აცილებას.<sup>14</sup> თავისუფლების აღკვეთა უნდა განხორციელდეს ისეთ პირობებში და გარემოებებში, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანის უფლებების დაცვას. დადგენილი სტანდარტების მიხედვით კი დაწესებულებაში განთავსებულ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა აქტივობითა და პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლის მიზანია არასრულწლოვანის ჯანმრთელობისა და საკუთარი თავის პატივისცემის გაუმჯობესება, რომელიც დაეხმარება მათ, როგორც საზოგადოების წევრების, საკუთარი პოტენციალის განვითარებაში.<sup>15</sup>

კვლევების თანახმად ხშირია შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავების მხრიდან არ ხდება დაკავებულისთვის სრულყოფილად კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების გაცნობა. ამის გათვალისწინებით, აუცილებელია სამართალდამცავმა პირმა ზეპირსიტყვიერად განუმარტოს დაკავებულს მისი უფლებები მისთვის გასაგები ფორმით, რათა საშუალება მისცეს, ისარგებლოს ამ უფლებებით. ეს უფლება მით უფრო დიდი მნიშვნელობისაა ბავშვებთან მიმართებით, რომლებსაც არ აქვთ გააზრებული სისხლისსამართლებრივი დევნისა და სხვა საგამომიებო მოქმედებების განხორციელების მოტივი თუ მიზანი.<sup>16</sup>

ხშირია ასევე შემთხვევები, როდესაც დაკავება არ ხდება საპროცესო ნორმების ზუსტად შესრულებით, რაც პირდაპირ არღვევს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს. ამიტომაც, სამართალდამცავები ვალდებული არიან,

<sup>12</sup> ბოხაშვილი ბ., მშენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, 2016, 63;

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> ბოხაშვილი ბ., მშენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, 2016, 71;

<sup>15</sup> ბოხაშვილი ბ., მშენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, 2016, 63;

<sup>16</sup> ქელბაქიანი ა., ცაგარელი ნ., ტურაზაშვილი გ., კვლევის ანგარიში „არასრულწლოვანი ბრალდებულების უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, 19;

ზედმიწევნით დაიცვან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის პირობები, რომლის თანახმადაც პირის დაკავება მხოლოდ სასამართლოს განჩინებით უნდა განხორციელდეს, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.<sup>17</sup>

ნაკლებად მნიშვნელოვანი არ არის არასრულწლოვანთა გამოკითხვის/დაკითხვის პროცესი, რომელიც ბავშვის კანონიერი წამომადგენლისა და ადვოკატის თანდასწრებით უნდა ჩატარდეს. დაკითხვა მტკიცებულებათა მიღებისა და გადამოწმების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზაა. იგი გამოიყენება ინფორმაციის მიღების მიზნით იმ პირებისაგან, რომლებმაც უშუალოდ აღიქვეს მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისთვის.<sup>18</sup> არასრულწლოვნის დაკითხვის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ადგილისა და გარემოს განსაზღვრა. ევროსაბჭოს დირექტივა ბავშვებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე, სწორედ აღნიშნულზე მიუთითებს. კერძოდ, სამართალწარმოების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვისადმი მოპყრობა მისი ასაკის, განსაკუთრებული საჭიროების, მისი სიმწიფისა და განვითარების დონის, ასევე კომუნიკაციაში შესაძლო პრობლემების გათვალისწინებით.<sup>19</sup>

არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლება, ეფექტური მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში, ავალდებულებს სახელმწიფოს არასრულწლოვანის სისხლის სამართლის გამოძიებაში მისი პირველივე ჩართვიდან მოეპყროს მას მისი მოწყვლადობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი, პოლიციის მიერ მისი დაკითხვის პროცესში. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა შესაძლებლობების ფარგლებში, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი შიშის გამომწვევი გრძნობები არასრულწლოვანში. ამავე დროს, უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვან ბრალდებულს ესმოდეს გამოძიების ხასიათი და იმ სასჯელის მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება შეეფარდოს.<sup>20</sup>

აგრეთვე მნიშვნელოვანია, არასრულწლოვანი ბრალდებულის დაკითხვის დროს მისი მშობლის ან პედაგოგის დასწრება, რაც განპირობებულია მოზარდის ფსიქოლოგიური მდგომარეობით და გულისხმობს მოზარდის პიროვნების დაცვას სტრესისგან და ზემოქმედებისგან.<sup>21</sup> გარდა ამისა, არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის ან პედაგოგის ინფორმაცია მოზარდის ოჯახური სიტუაციის, პიროვნული განვითარების, მისი ფსიქიკური მდგომარეობისა და სოციალიზაციის შესახებ, მიწოდებული საგამოძიებო ორგანოებისათვის მისი მათთან პირველივე კონტაქტისას, შესაძლებელს გახდის მოზარდს შეეფარდოს მისი პიროვნების ადეკვატური აღკვეთის ღონისძიება.<sup>22</sup>

<sup>17</sup> იხ. შენიშვნა 14;

<sup>18</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2015;

<sup>19</sup> ბოხაშვილი ბ., მშენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, 2016, 65;

<sup>20</sup> ბოხაშვილი ბ., მშენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, 2016, 66;

<sup>21</sup> სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, თსუ-სიურიდიული ჟურნალი, 2017, 25;

<sup>22</sup> ქელბაქიანი ა., ცაგარელი ნ., ტურაზაშვილი გ., კვლევის ანგარიში „არასრულწლოვანი ბრალდებულების უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, 23;

თუმცა მიუხედავად ამისა, არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეების შესწავლამ ნათელყო, რომ ცალკეულ შემთხვევაში წინასწარი გამოძიების ორგანოები არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით იყებენ დაკავებას ან დაპატიმრებას, მაშინ როდესაც არ არსებობდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლები და არც აუცილებლობით იყო გამოწვეული.<sup>23</sup>

ასევე, კვლევებმა აჩვენეს, რომ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას სასამართლოები ყოველთვის კრიტიკულად არ ამოწმებენ, თუ რამდენად დაიცვა სამართალდამცავებმა არასრულწლოვანის დაკითხვისას საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც წინასწარი გამოძიების ორგანოებს ავალდებულებს, რომ ხსენებულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებას ესწრებოდნენ არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი ან პედაგოგი. სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას გამოვლინდა ცალკეული შემთხვევები, როცა საპროცესო კანონმდებლობის აღნიშნული მუხლების მოთხოვნათა შესრულების მიზნით, წინასწარი გამოძიების ორგანოები კმაყოფილდებიან მხოლოდ არასრულწლოვანის დამცველის მოწვევით, რაც, ცხადია, სწორი არ არის.<sup>24</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას რომ საქართველოში მართალია, მიღებული იქნა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, მათ შორის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ცალკე გამოყოფისა და ნორმების ინტეგრირების სახით, თუმცა პრაქტიკა მაინც ქმნის ბავშვთა უფლებების დარღვევის შესაძლებლობას სამართალდამცავებთან ურთიერთობისას. ეს კი ახალი გამოწვევებია, რომლებიც დროდადრო აუცილებლად უნდა დაიდლოს.

---

<sup>23</sup> არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეები, იხ. <<http://www.library.court.ge/upload/3433.pdf>>

<sup>24</sup> არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეები, იხ. <<http://www.library.court.ge/upload/3433.pdf>>